პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 101 (3585)

25 მაისი. 1968 წ. შაბათი. ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 24-ე წელი.

## ფეხბურთი

[illegible]

22 მაისს მოსკოვის „სპარტაკმა" დიდი ანგარიშით (4:0) დაამარცხა ლენინგრადის „ზენიტი". 2 ბურთი გაიტანა ჰუსაინოვმა, თითო — იანკინმა და ამბარცუმიანმა.

23 მაისს მოსკოვში ერთმანეთს შეხვდნენ ადგილობრივი „ლოკომოტივი" და მინსკის „დინამო". თამაში დამთავრდა ფრედ — 0:0.

გათამაშების საუკეთესო სნაიპერია სპარტაკელი ვ. იანკინი, რომლის ანგარიშზეა 6 ბურთი.

„ა" კლასი — I ჯგუფი

„ა" კლასი — II ჯგუფი

### III ქვეჯგუფი

მოგვყავს განვლილი ტურის შეხვედრათა შედეგები: „ფოლადი" (სუმგაითი) — „დინამო" (მახაჩყალა) 1:0, „შირაკი" (ლენინაკანი) — „ტორპედო" (ტაგანროგი) 2:5, „ურალმაში" (სვერდლოვსკი) — „ვოლგა" (გორკი) 1:0, „ლოკომოტივი" (ჩელიაბინსკი) — „რუბინი" (ყაზანი) 0:0, „მეტალურგი" (მაგნიტოგორსკი) — „სპარტაკი" (იოშკარ-ოლა) 0:0, „სტროიტელი" (უფა) — „ვოლგა" (ულიანოვსკი) 3:0, „ზენიტი" (იჟევსკი) — „ვოლგარი" (ასტრახანი) 2:1, „ზვეზდა" (პერმი) — „ტრაქტორი" (ვოლგოგრადი) 0:2.

## სსრ კავშირის თასი

„ბ" კლასი

### ფოთი

ადგილობრივმა „კოლხეთმა" საკავშირო თასის გათამაშებაში მიიღო სოხუმის დინამოელთა კოლექტივი.

მატჩის ძირითადი დრო უშედეგოდ დამთავრდა — 0:0. დამატებით დროში ფოთელთა თავდამსხმელმა ძაგანიამ შეძლო ერთადერთი ბურთის გატანა და „კოლხეთმა" თავის სასარგებლოდ დაამთავრა თამაში — 1:0.

ა. ლომაია.
(ჩვენი კორ.).

### რუსთავი

„მეტალურგმა" შინ მიიღო მინგეჩაურის „ტექსტილშჩიკი".

90 წუთმა გამარჯვებული ვერ გამოავლინა — 1:1. დამატებით დროში სტუმრებმა გაიტანეს გადამწყვეტი ბურთი და გაიმარჯვეს — 2:1.

რ. გაბრიჭიძე.
(ჩვენი კორ.).

### ზუგდიდი

ზუგდიდის „ენგურის" მეტოქე იყო დერბენტის „უროჟაი".

მატჩი მასპინძელთა იერიშებით დაიწყო, მაგრამ მას შემდეგ, რაც თავდამსხმელებმა ვერ გამოიყენეს ბურთის გატანის რამდენიმე კარგი შესაძლებლობა, ინიციატივა ხელთ აიღეს სტუმრებმა, რომლებმაც ტაიმის დასასრულს გახსნეს კიდეც ანგარიში.

შესვენების შემდეგ ზუგდიდელები კვლავ უტევდნენ და კვლავ უშედეგოდ. ბურთების გატანის შანსები დაკარგეს აბრალავამ, როგავამ და კემულარიამ. სამაგიეროდ, „უროჟაიმ" შეძლო თავისი ერთ-ერთი კონტრშეტევა გოლით დაემთავრებინა. გაიმარჯვეს სტუმრებმა — 2:0.

ბ. ალშიბაია.
(ჩვენი კორ.).

## სსრ კავშირის პირველობა

# შეხვედრა ქობულეთში

აქ გაიმართა საკავშირო პირველობის მატჩი: ადგილობრივი „შუქურა" შეხვდა თელავის „კახეთს". თამაში თავიდანვე დაძაბულად წარიმართა — სახიფათო მომენტები ხშირად იქმნებოდა ორივე გუნდის კართან. შემდგომში თანდათან გამოვლინდა მასპინძელთა უპირატესობა, რომელთა მარცხენა გარემარბმა ურუშაძემ თავური დარტყმით გახსნა ანგარიში.

„შუქურას" უპირატესობით მიმდინარეობდა მეორე ტაიმიც. მატჩის დამთავრებას 7 წუთი აკლდა, როცა ურუშაძე — პოლტაჩიდის კომბინაცია მეორე გოლით დამთავრდა. დარჩენილ დროში სტუმრებმა გაქვითეს 1 ბურთი და შეხვედრა დასრულდა „შუქურას" გამარჯვებით — 2:1.

ლ. ტრაპაიძე.
(ჩვენი კორ.).

# დაშვებული საბურავით

ბათუმი, 23 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს მრავალდღიანი ველორბოლის IV ეტაპი ქუთაისი — ბათუმი (140 კმ) სპორტსმენებმა მაღალ ტემპში დაიწყეს. თავიდანვე დაწინაურდნენ ს. გრიშკევიჩი, ი. კრასავცევი (ორივე — „განთიადი"), ვ. მალცევი, ე. მელკოვი (ორივე — „დინამო"), ვ. აბშილავა, ო. სუჯიაშვილი (ორივე — „ბურევესტნიკი"), შ. დაიაური („სპარტაკი") და ბ. მოგუსევი („კოლმეურნე"). ეს 8 ველომრბოლელი ძირითად ჯგუფს მოწყდა და როცა უკან დარჩა 23 კმ, წინ წასულნი დანარჩენთ 1 წუთსა და 15 წამს უსწრებდნენ. ამ დროს საბურავმა უმტყუნა სუჯიაშვილს. ცოტა ხნის შემდეგ მისივე ბედი გაიზიარა მალცევმა. დაწინაურებულებმა ტემპს უმატეს. განსაკუთრებით აქტიურობენ გრიშკევიჩი და კრასავცევი. 52 კილომეტრის შემდეგ განსხვავება ლიდერებსა და ძირითად ჯგუფს შორის 3 წუთსა და 30 წამს შეადგენდა. აქვე უნდა ითქვას, რომ ეს ეტაპი ყველაზე გრძელია და თანაც, მეტისმეტად რთული.

როცა დაწინაურებულებმა მახარაძეს მიაღწიეს, განსხვავება თვალსაჩინოდ გაიზარდა: 7.30. ტემპს თანდათან უმატეს დანარჩენებმაც.

ბედმა უმუხთლა ველორბოლის ლიდერს აბშილავას. მას საბურავი დაეშვა. სპორტსმენმა უმალვე შეცვალა ველოსიპედი და დაწინაურებულებს დაედევნა, მაგრამ... საბურავმა კვლავ უღალატა. და მაინც 10 კილომეტრი სდია აბშილავამ ხუთეულს დაშვებული საბურავით.

ამასობაში ლიდერთა ჯგუფიდან წინ გადიან კრასავცევი და მელკოვი. ფინიშის ხაზი ბათუმში პირველმა კრასავცევმა გადაკვეთა, მეორე იყო მელკოვი. ორივეს ერთნაირი დრო — 4:10.00 აქვს. III ადგილი დაიკავა გრიშკევიჩმა.

IV ეტაპი გუნდურ ჩათვლაში მოიგო „განთიადმა" — 12:41.43. II ადგილზე გავიდნენ დინამოელები — 12:52.55, ხოლო III — ბურევესტნიკელები — 12:55.11.

4 ეტაპის ჯამში ლიდერის ყვითელ მაისურს დაეუფლა კრასავცევი — 12:17.01, II ადგილზეა დაიაური — 12:19.54, III — აბშილავა — 12:22.00. გუნდურ ჩათვლაში წინ არიან განთიადელები — 37:19.03. II ადგილზეა „ბურევესტნიკი" — 37:22.51, III — „კოლმეურნე" — 37:59.12.

ა. ჭიჭინაძე,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი.

# ლიდერებმა პოზიცია შეინარჩუნეს

ლუგანსკი, 23 მაისი. ხელბურთელ ქალთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალურ ტურნირში ლიდერებმა პოზიცია შეინარჩუნეს: მოსკოვის „ლუჩმა" დაამარცხა გათამაშების აუტსაიდერი — კიევის „ბურევესტნიკი" (17:7), კიეველმა სპარტაკელებმა — ოდესის „ლოკომოტივი" (22:11), ხოლო სვერდლოვსკის „კალინინეცმა" ფრედ დაამთავრა მატჩი კაუნასის „ჟალგირისთან" — 10:10.

ვილნიუსის „შვიესამ" და ბაქოს „სპარტაკმა" ფრედ ითამაშეს — 12:12.

ბოლო 2 ტურის წინ „ლუჩს" 28 ქულა აქვს, „კალინინეცს" — 26, კიევის „სპარტაკს" — 24. ლიდერთა ამ სამეულმა უკვე გაინაღდა ბრინჯაოს მედლები და ახლა მათ შორის უფრო ძვირფასი ლითონისთვის გაჩაღდება ბრძოლა. ვერც ერთი სხვა გუნდი ამ სამეულს ველარ დაეწევა: „ჟალგირისს" 20 ქულა აქვს, ბაქოს „სპარტაკს" — 18, „შვიესას" — 17, „ლოკომოტივს" — 10, „ბურევესტნიკს" — 8.

## ჩოგბურთი! საათი!

◆ პარიზი, 24 მაისი. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრიზზე ქალთა აქ მიმდინარე გუნდურ ტურნირში საბჭოთა გუნდმა ანგარიშით 3:0 დაამარცხა იტალიის ნაკრები და მეოთხედფინალში გავიდა. გუნდს გამარჯვების პირველი ქულა მოუტანა სსრ კავშირის ჩემპიონმა გ. ბაკშეევამ (მოსკოვი), რომელმაც დაამარცხა იტალიის პირველი ჩოგანი ლ. პერიკოლი — 7:5, 8:6. შემდეგ ბაკშეევამ ახალგაზრდა თანაქალაქელ ო. მოროზოვასთან წყვილში სძლია პერიკოლისა და ფ. გორდიჯიანის (6:2, 6:3), მერე კი მოსკოველმა ა. დმიტრიევამ მოუგო მ.-ტ. რიდლს — 6:3, 6:0. ახლა საბჭოთა გუნდი შეხვდება ინგლისის ნაკრებს, რომელმაც მწვავე ბრძოლაში სძლია ჩეხოსლოვაკიელებს — 2:1. მეოთხედფინალში იოლად გავიდნენ ფავორიტები — აშშ-სა და ავსტრალიის გუნდები. პირველმა ანგარიშით 3:0 დაამარცხა შვეიცარიელები, ხოლო მეორემ ასეთივე ანგარიშით — ბრაზილიელები. მეოთხედფინალური წყვილები ასე გამოიყურება: ავსტრალია — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ინგლისი — სსრ კავშირი, ჰოლანდია — ბულგარეთი, საფრანგეთი — აშშ. პრიზის მფლობელი 26 მაისს გამოვლინდება.

# მსხვილი პლანით — ახალგაზრდები

ლენინგრადი, 24 მაისი. ტანმოვარჯიშე ქალთა აქ მიმდინარე საკავშირო პირად-გუნდური პირველობა ახალგაზრდების ტრიუმფით აღინიშნა. რვავე კოლექტივში ყველაზე ახალგაზრდები არათუ უმეტესობას შეადგენენ (ჩემპიონატის 72 მონაწილის საშუალო ასაკი 20 წელია), არამედ მთავარ როლსაც თამაშობენ. მრავალჭიდში ყველაზე მეტი ქულა როგორც წინა ჩემპიონატში, ახლაც დინამოელებმა დააგროვეს — 531,45. მათმა მეგობრულმა რვაკაციანმა გუნდმა (ჩათვლა შვიდი საუკეთესოს მიხედვით ხდებოდა), რომელსაც ამშვენებენ ვარსკვლავები ზ. ვორონინა და ლ. პეტრიკი, გარდამავალი პრიზი და ოქროს პატარა მედლები დაისაკუთრა.

მეორე ჯილდო ბოლო წლებში პირველად მოიპოვეს „ტრუდის" სპორტსმენებმა (518,25), რომელთაც III ადგილზე გადასწიეს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები (516,50).

... ტანვარჯიში და კინო ახლა ყველაზე პოპულარული სტუმრებია ნევისპირა ქალაქისა. ლენინგრადის საუკეთესო კინოდარბაზებში საკავშირო კინოფესტივალი ტარდება. სხვათა შორის, კინემატოგრაფისტებს ამ დღეებში ტანმოვარჯიშეთა ჩემპიონატზეც ნახავთ და არა მხოლოდ მაყურებლის როლში. დოკუმენტალისტებს გარდა აქ მუშაობენ ახალ მხატვრულ ფილმზე „თავისთავად", რომელიც ახალგაზრდა ტანმოვარჯიშე ქალის ვალია ჩერნოვას სპორტულ ცხოვრებაზე გვიამბობს. მთავარ როლს ასრულებს 19 წლის ლენინგრადელი ირინა ელისეევა, რომელიც ამავე დროს ქულებსაც აძლევს თავის გუნდს „ტრუდს". მართალია, აქ მან პირველი როლი ნ. კუჩინსკაიას დაუთმო. წინასწარ ვიტყვით, რომ ნატაშას საუკეთესო შედეგი აქვს მრავალჭიდში — 78,15 ქულა. იგი სათავეში ჩაუდგა 18 საუკეთესოს, რომლებიც 25 მაისს ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონის სახელისთვის გააგრძელებენ ბრძოლას.

და თუმცა ლენინგრადელები მხურვალედ უჭერდნენ მხარს თავიანთი ქალაქის შვილს, I ადგილისკენ ნატაშას გზა იოლი როდი იყო. პროგრამის ბოლო ნომრამდე მას კვალში მისდევდნენ მოსკოველი ზ. ვორონინა და ვიტებსკელი სტუდენტი ლ. პეტრიკი. ნატაშა ნებისმიერ პროგრამას ორძელზე კომბინაციით ასრულებდა, მისი მეტოქეები — თავისუფალი ვარჯიშით. კუჩინსკაიამ დაიპყრო მაყურებელი და მსაჯები გაბედული, რთული ბრუნებით და თითქმის უმაღლესი შეფასება მიიღო — 9,95 ქულა.

კუჩინსკაიას მეტოქეებს ახლა მხოლოდ საოცნებო „ათიანის" დახმარებით შეეძლოთ მოგება. ამოცანა შეუსრულებელი დარჩა: პეტრიკმა მხოლოდ 9,5 ქულა მიიღო. ვორონინამ თითქმის ყველაფერი იღონა, რაც შესაძლებელი იყო, მაგრამ ლენინგრადელს მაინც ჩამორჩა 0,05 ქულით.

ძალიან სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა ჩვენი ნორჩი ტანმოვარჯიშეების „მეორე ეშელონმა" — ვორონეჟელმა ლ. ბურდამ და ა. დემიანენკომ, მოსკოველმა ო. კარასიოვამ, გროზნოელმა ლ. ტურიშჩევამ. ბურდამ და კარასიოვამ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნორმა შეასრულეს.

გუნდური შეჯიბრების ტექნიკური შედეგები — სავალდებულო და ნებისმიერი პროგრამის ჯამი (ჩათვლა 7 მონაწილის მაჩვენებლების მიხედვით): 1. „დინამო" — 531,45 ქულა, 2. „ტრუდი" — 518,25, 3. შეიარაღებული ძალები — 516,50, 4. „სპარტაკი" — 516,10, 5. „ზენიტი" — 509,80, 6. „ბურევესტნიკი" — 505,45, 7. „ლოკომოტივი" — 505,25, 8. „ავანგარდი" — 494,30.

ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონობის პრეტენდენტთა პირველი ექვსეული:

1. ნ. კუჩინსკაია („ტრუდი", ლენინგრადი) — 78,15, 2. ზ. ვორონინა („დინამო", მოსკოვი) — 78,10, 3. ლ. პეტრიკი („დინამო", ვიტებსკი) — 77,70, 4. ლ. ბურდა („სპარტაკი", ვორონეჟი) — 76,50, 5. ო. კარასიოვა (შეიარაღებული ძალები, მოსკოვი) — 76,35, 6. ლ. ტურიშჩევა („დინამო", გროზნო) — 75,30.

[illegible]

● ჟეშუვი, 22 მაისი. მშვიდობის XXI ველორბოლის მონაწილეებმა 14 ეტაპიდან უკვე გაიარეს 12, მოსკოველი ვ. ჩერკასოვი კი კვლავინდებურად ინარჩუნებს ლიდერის ყვითელ მაისურს საერთო ჩათვლაში. სამაგიეროდ, შეიცვალა მისი მთავარი მდევარი: დ. მიკეინის (გდრ) მაგივრად ახლა საბჭოთა მრბოლელს ო. ჰოილუნდი (დანია) ავიწროებს. ამას დანიელმა სპორტსმენმა საპრემიო წუთის წყალობით მიაღწია დღევანდელ ეტაპზე გამარჯვებისთვის. კრაკოვ — ჟეშუვის ეტაპზე (155 კმ) ჰოილუნდის შედეგია (ამ წუთის ჩათვლით) 3:54.52. ფინიშთან მეორე იყო ჟ. შოტერსი (ბელგია), ხოლო მესამე — ზ. ხანუშჩიკი (პოლონეთი). მათ შესაბამისად მიიღეს საბონიფიკაციო 30 და 15 წამი. ყველაზე აქტიური მრბოლელის წოდებისთვის ბრძოლაში კვლავ ლიდერობს ტალინელი პ. იიფერტი. გუნდურ ჩათვლაში ისევ წინაა გდრ-ის ნაკრები. 12 ეტაპის ჯამში ჩერკასოვის შედეგია 48:43.37. ჰოილუნდი მას სულ რაღაც 18 წამით ჩამორჩება, ხოლო III ადგილზე მყოფი მიკეინი — 28 წამით.

● ლიუბლინი, 23 მაისი. მშვიდობის XXI ველორბოლის ბოლოსწინა, XIII ეტაპზე ჟეშუვი — ლიუბლინი (198 კმ) რბოლას სათავეში ჩაუდგა 8 გუნდის ამდენივე სპორტსმენი, მათ შორის, საბჭოთა გუნდის კაპიტანი გ. საიდხუჟინი. რბოლის ტემპი ძალიან მაღალია — პირველი 45 კმ ამ ჯგუფმა 1 საათში დაფარა. მეტისმეტად აქტიურია საიდხუჟინი, რომელმაც 2 საშუალედო ფინიში მოიგო. საბოლოოდ ფინიშთან პირველი მიიჭრა იტალიელი ჯ. ლევატი — 4:47.35. საიდხუჟინი მეოთხე იყო. ველორბოლის ლიდერი ვ. ჩერკასოვი დისტანციიდან გავიდა და რბოლას გამოეთიშა. ბოლო ეტაპის წინ ლიდერობა ხელთ იგდო ჩეხოსლოვაკიელმა კ. ვავრამ. II ადგილზე მყოფი საიდხუჟინი მას 2 წუთითა და 33 წამით ჩამორჩება.

● ბრნო, 23 მაისი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ორგზის მფლობელი — ბუქარესტის „დინამოს" ფრენბურთელ ვაჟთა გუნდი ამ პრიზის წლევანდელი გათამაშების საპასუხო ფინალურ მატჩში დამარცხდა ჩეხოსლოვაკიის ჩემპიონთან — ადგილობრივ „სპარტასთან" — 0:3 (8:15, 5:15, 8:15). ბუქარესტში გამართულ პირველ შეხვედრაში რუმინელებმა იმარჯვეს და ახლა 30 მაისს ბელგიის ერთ-ერთ ქალაქში გაიმართება ამ გუნდების დამატებითი თამაში.

● პრაბუშევაცი, 23 მაისი. ს. გლიგორიჩთან მსოფლიო პირველობაზე მეოთხედფინალურ მატჩში გამარჯვების შემდეგ საბჭოთა მოჭადრაკე, მსოფლიოს ექსჩემპიონი მ. ტალი იუგოსლავიაში განაგრძობს სტუმრობას. დიდი ინტერესი გამოიწვია რიგელი დიდოსტატის ერთდროული თამაშის აქ გამართულმა სეანსმა 40 დაფაზე. ტალმა გაიმარჯვა, არითმეტიკულად რომ ვთქვათ, ანგარიშით 31:9. მან 28 პარტია მოიგო, 6 ყაიმით დაამთავრა და ამდენივე წააგო.

● კიევი, 24 მაისი. მოკავშირე რესპუბლიკებისა და ქალაქების — მოსკოვისა და ლენინგრადის 230 აკრობატმა მოიყარა აქ თავი სსრ კავშირის 30-ე საიუბილეო პირად-გუნდურ ჩემპიონატში სასპარეზოდ. გაიმართა გუნდური შეჯიბრება ხტომებში. გაიმარჯვეს რსფსრ-ს სპორტსმენებმა — 532,2 ქულა. პირად ჩათვლაში დაწინაურდნენ: ვაჟებში — ვ. ნეჩაევი (უკრაინა), ქალებში — მოსკოველი ვ. იურასოვა და ნ. ტიმოფეევა (რსფსრ).

# მეტრეველმა მოიგო და ლეიუსმაც

მოსკოვი, 24 მაისი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). დღეს აქ დაიწყო დევისის თასის გათამაშების მორიგი კალენდარული მატჩი სსრ კავშირი — იუგოსლავია. ჩვენი ქვეყნის პირველმა ჩოგანმა ა. მეტრეველმა დაამარცხა ბ. იოვანოვიჩი — 6:3, 6:4, 6:4, ხოლო საბჭოთა კავშირის ექსჩემპიონმა თ. ლეიუსმა — ჟ. ფრანულოვიჩი — 6:3, 2:6, 8:6, 7:5.

ჯ. ენუქიძე.

[illegible]

# 1 ივნისს ოსტრავაში

მოსკოვი, 24 მაისი. 1 ივნისს ოსტრავაში გაიმართება ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ფეხბურთელთა ოლიმპიური გუნდების საპასუხო შესარჩევი მატჩი, — ასე გადაწყვიტეს ამ ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციებმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპარტაკიადები

# პირველად...

წლეულს რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქში ჩატარდა საქართველოს სკოლა-ინტერნატების I სპარტაკიადა. ეს ღონისძიება პირველია არა მარტო ჩვენს რესპუბლიკაში, არამედ სსრ კავშირშიც. შეჯიბრებათა შედეგებზე ცნობები მოგვაწოდეს **შ. თოდუამ** (სოხუმის მე-2 სკოლა-ინტერნატის მასწავლებელი და ფეხბურთის სექციის ხელმძღვანელი), კორესპონდენტებმა **ე. გუგუნავამ** (ცხაკაია) და **თ. გაჩეჩილაძემ** (თბილისი).

**ფეხბურთელთა** პირველობის ფინალური შეხვედრები ზუგდიდში გაიმართა. საშუალო სკოლა-ინტერნატების 8 ფინალისტი ორ ქვეჯგუფად იყო დაყოფილი. პირველ ქვეჯგუფში გაიმარჯვა სოხუმის მე-2 სკოლა-ინტერნატის გუნდმა, მეორეში — ახალციხის წარმომადგენლებმა. ამ კოლექტივთა გადამწყვეტი მატჩი მეტად დაძაბულად წარიმართა. საბოლოოდ სოხუმელებმა იმარჯვეს — 3:2. III ადგილი დაიკავა ბროწეულას ინტერნატის გუნდმა.

რვაწლიან სკოლა-ინტერნატებში I ადგილზე გავიდა ინგირის გუნდი. II ადგილზე არიან წითელწყაროს, III — ცხაკაიას წარმომადგენლები.

ცხაკაიაში ჩატარდა **კალათბურთელთა** შეჯიბრება. რვაწლიანი სკოლა-ინტერნატების ჯგუფში საპრიზო სამეულები ასე განაწილდა: გოგონები: 1. ბათუმის რაიონის სოფ. მახუნცეთი, 2. სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბე, 3. ცხაკაია; ვაჟები: 1. ცხაკაია, 2. სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბე, 3. წითელწყარო.

საშუალო სკოლა-ინტერნატების გოგონათა გუნდებში ყველას აჯობეს ბროწეულელმა კალათბურთელებმა. II ადგილი ხვდათ კოჯრელებს, III — წულუკიძელებს. ვაჟებში უძლიერესნი იყვნენ ბათუმელები. II ადგილი დაისაკუთრეს გურჯაანის, ხოლო III — წულუკიძის წარმომადგენლებმა.

**ფრენბურთში** ჩემპიონობის ბედი წულუკიძეში გადაწყდა. რვაწლიანი სკოლა-ინტერნატების სპორტსმენებში ყველას აჯობა ლაგოდეხის გოგონათა გუნდმა. II ადგილზე გავიდნენ ყვარლელები, III — თეთრი წყაროს წარმომადგენლები. ვაჟებში პრიზიორთა სამეული ასე განაწილდა: 1. ბათუმის 1-ლი ინტერნატი, 2. ახმეტა, 3. თეთრი წყარო. საშუალო სკოლა-ინტერნატების გოგონათა გუნდებში პირველ ადგილზე გავიდნენ თიანეთის, II — წულუკიძის, III — ახალციხის ფრენბურთელები. ვაჟებში პირველობა მოიპოვეს თბილისის მათემატიკური ინტერნატის სპორტსმენებმა. II ადგილზე გავიდნენ ბათუმის რაიონის სოფ. კირნათის, III — ქობულეთის რაიონის სოფ. ჩაისუბნის წარმომადგენლები.

საინტერესო იყო **მძლეოსანთა** შეჯიბრება, რომელიც თბილისში ჩატარდა. რვაწლიანი სკოლა-ინტერნატების გუნდებში ყველას აჯობეს ცხაკაიელებმა. II ადგილზე გავიდნენ ბათუმელები, III — ყვარლელები. საშუალო სკოლა-ინტერნატებში პირველი ორი ადგილი მოიპოვეს დუშელებმა: I ადგილზეა დუშეთის რაიონის სოფ. ბარისახოს გუნდი, II — დუშეთის ინტერნატისა. III ადგილი დაისაკუთრეს ჩაისუბნელებმა.

დანარჩენ სახეობებში საპრიზო სამეულები ასე განაწილდა: **მაგიდის ჩოგბურთი.** I. თელავის, II. კასპის, III. ახმეტის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატები; I. კოჯრის, II. ბათუმის რაიონის სოფ. კირნათის, III. ქობულეთის რაიონის სოფ. ჩაისუბნის საშუალო სკოლა-ინტერნატები. **ჭადრაკი.** I. წითელწყაროს, II. ჩხოროწყუს, III. ქუთაისის რვაწლიანი სკოლა-ინტერნატები; I. ბათუმის მე-3, II. ქობულეთის რაიონის სოფ. ჩაისუბნის საშუალო სკოლა-ინტერნატები. III-V ადგილები გაინაწილეს ახალციხის, კოჯრისა და დუშეთის წარმომადგენლებმა.

სულ სპარტაკიადაში, რომელსაც ადგილზე შეჯიბრებები უსწრებდნენ წინ, 24 საშუალო და 36 რვაწლიანი სკოლა-ინტერნატი მონაწილეობდა.

საერთო გუნდურ ჩათვლაში რვაწლიანი სკოლა-ინტერნატების გუნდებში პირველობა კასპელებმა მოიპოვეს (დირექტორი ა. გურგენიძე, ფიზაღზრდის მასწავლებელი ვ. ლვინიაშვილი) — 239 ქულა. II ადგილზე გავიდა ბათუმის 1-ლი ინტერნატი (ლ. ცეცხლაძე, შ. კიკაჩეიშვილი) — 230,5, III — წითელწყაროს ინტერნატი (გ. ბეგლაროვი, გ. ბოსტაშვილი) — 229,5.

საშუალო სკოლა-ინტერნატებში სპარტაკიადის ჩემპიონობა 150,5 ქულით დაისაკუთრა ქობულეთის რაიონის სოფ. ჩაისუბნის კარგად მომზადებულმა კოლექტივმა (ვ. ყურშუბაძე, ზ. პატარაია). II ადგილი წილად ხვდათ ახალციხელებს (ა. არველაძე, ა. გელაშვილი) — 145, III — ბათუმის მე-3 ინტერნატის წარმომადგენლებს (ი. დიასამიძე, ა. გიორგაძე) — 129.

# ოთხი სახეობის შემდეგ

პროფტექნიკური განათლების სასწავლებლების წლევანდელი, 21-ე რესპუბლიკური სპარტაკიადა კომკავშირის 50 და სპორტსაზოგადოება „შრომითი რეზერვების" 25 წლისთავს ეძღვნება. ასპარეზობის პროგრამაში 15 სახეობა შედის. თბილისში, „შრომითი რეზერვების" სპორტულ დარბაზში, ოთხ სახეობაში უკვე დამთავრდა ფინალური შეჯიბრებები.

**კრივში** ჩემპიონობა მოიპოვა თბილისის მე-18 სასწავლებელმა. II ადგილზე არიან ქუთაისის მე-4, III — რუსთავის მე-3 სასწავლებლის ვაჟები.

ჩემპიონები გახდნენ: ზ. მელაძე, ლ. ცუკანოვი (ორივე — ქუთაისის მე-4 სასწავლებელი), ვ. პლიევი, თ. სუკასიანი (ორივე — თბილისის მე-18 სასწავლებელი), ა. ტიტვინიძე, თ. ოშხარელი, პ. ტარანოვი (ყველა — რუსთავის მე-3 სასწავლებელი), ა. ბერიანიძე (თბილისის 32-ე სასწავლებელი), გ. ჭოხონელიძე (რუსთავის მე-17 სასწავლებელი), ნ. სნეგირიოვი (თბილისის მე-6 სასწავლებელი), დ. ლოგვილავა (ფოთის მე-12 სასწავლებელი).

**სპორტულ ტანვარჯიშში** ვაჟებს შორის ყველას აჯობეს თბილისის 31-ე, გოგონებში კი ქუთაისის 37-ე სასწავლებლის აღსაზრდელებმა. ვაჟებს შორის აბსოლუტური ჩემპიონის წოდება მოიპოვა ზუგდიდელმა ნ. გარდავამ (109,2 ქულა), გოგონებში — თბილისელმა ა. კუკოტამ (71,75).

**თავისუფალ ჭიდაობაში** გუნდური პირველობა წილად ხვდათ თბილისის მე-11 სასწავლებლის ვაჟებს. II და III ადგილები დაიკავეს რუსთავის მე-17 და თბილისის 31-ე სასწავლებლის სპორტსმენებმა.

ჩემპიონები გახდნენ ა. ბეჟანიშვილი, ვ. ებიაშვილი, თ. კიკაბიძე, თ. ძებისაშვილი, თ. ფარჯანიძე, ს. გოგნაძე (ყველა — თბილისის მე-11 სასწავლებელი), დ. ვახტანგაძე, ა. ლიპარტაშვილი (ორივე — თბილისის 31-ე სასწავლებელი), ო. მაისურაძე, ა. გვარამაძე (რუსთავის მე-17 სასწავლებელი).

**კლასიკურ ჭიდაობაში** საპრიზო ადგილზე თბილისის ვერც ერთი გუნდი ვერ გავიდა. პირველობისთვის ქუთაისის მე-4, სურამის მე-14 და ქუთაისის 21-ე სასწავლებლების მოჭიდავეები იბრძოდნენ და ადგილებიც სწორედ ამ თანმიმდევრობით გაინაწილეს.

პირად პირველობაში გაიმარჯვეს ზ. კანდელაკმა, ზ. ედიბერიძემ, გ. კენჭაძემ, რ. ბზიკაძემ (ყველა — ქუთაისის მე-4 სასწავლებელი), ი. მჭედლიძემ, გ. კიკნაძემ (ორივე — სურამის მე-14 სასწავლებელი), თ. ძამელაშვილმა (რუსთავის მე-17 სასწავლებელი), დ. უნაფქოშვილმა, ტ. შავგულიძემ (ორივე — ქუთაისის 21-ე სასწავლებელი), ნ. ხომასურიძემ (თბილისის მე-11 სასწავლებელი).

ოთხი სახეობის შემდეგ 11 საჯარიმო ქულით ლიდერობს ქუთაისის მე-4 სასწავლებელი. 14 ქულით II ადგილზეა თბილისის მე-11 სასწავლებლის კოლექტივი. 20-20 ქულა აქვთ რუსთავის მე-17 და თბილისის 31-ე სასწავლებლებს.

„ლელოს" ბრიგადა.

# შესამჩნევად გამოცოცხლდა

ამ ბოლო ხანს თბილისის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ორგანიზაციების ფიზკულტურული კოლექტივების საქმიანობა შესამჩნევად გამოცოცხლდა. ეს დაადასტურა წლევანდელმა, V სპარტაკიადამაც, რომელშიც თითქმის ყველა კოლექტივის 300-ზე მეტი წარმომადგენელი ჩაება. წლევანდელი ტურნირი იმითაც გამოირჩეოდა, რომ პროგრამაში შემავალ ხუთ სახეობას მძლეოსნობაც დაემატა. ყველაზე მეტი სწორედ მძლეოსანი გამოვიდა სარბიელზე.

სპარტაკიადის ორგანიზატორებმა იზრუნეს შეჯიბრების სათანადოდ ჩატარებისთვის: მცირერიცხოვანი კოლექტივები წინასწარ უზრუნველყვეს ინსტრუქტორ-მეთოდისტებით, გაიმართა შიდასაკოლექტივო პირველობები. რჩეულები სპარტაკიადაში გამოვიდნენ.

ახალგაზრდებთან ერთად გატაცებით ასპარეზობდნენ საშუალო და უფროსი ასაკის მშრომელებიც. მაგალითად, ანა პაპალაშვილმა, ს. აკოფოვმა, ი. ხუხაშვილმა, ვ. ჟურავსკიმ და სხვებმა 40-50 წელს გადააბიჯეს, მაგრამ თავიანთი კოლექტივების წარმატებაში დიდი წვლილი შეიტანეს.

ცალკეულ სახეობებში მოწონება დაიმსახურეს ბავშვთა № 5 ატელიეს მკერავმა ნ. ლაბაძემ, ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის № 2 ფაბრიკის მკერავმა ს. აბუაშვილმა, სატრანსპორტო-საექსპლოატაციო კონტორის ბრიგადირმა ნ. ნამოიანმა და სხვ.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის № 2 ფაბრიკის კოლექტივმა (მეთოდისტი გ. მარგიანი). მომდევნო საპრიზო ადგილები დაიკავეს საყოფაცხოვრებო მომსახურების მრავალდარგოვანი კომბინატისა და ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვის № 1 ფაბრიკის წარმომადგენლებმა.

ბ. თენგოშვილი.

# სენსაციები სტარტზე

თბილისში, რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში ტარდება საქართველოს ქალთა II პირველობა რუსულ შაშში.

5 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ლ. ბარამაშვილი — 3,5 (1), ე. შვედოვა (ორივე — თბილისი) — 3,5, მ. ბურჯალიანი (თელავი) — 2,5 (2), ი. მემარნიშვილი, ლ. რამაზანოვა (ორივე — თბილისი) — 2-2 (1-1).

შეჯიბრება სენსაციებით დაიწყო. პირველ დღეს საქართველოს ჩემპიონმა ი. ტყაბლაძემ (ქუთაისი) მოსაგები პოზიცია წააგო შვედოვასთან. 15 წლის თელაველმა ბურჯალიანმა დაამარცხა თბილისის ჩემპიონი გ. ბეროზაშვილი. გამოცდილ მოშამეს მემარნიშვილს მოუგო ქუთაისელმა ლ. ჯინჭარაძემ.

III ტურში საერთო ყურადღება მიიპყრო ბარამაშვილისა და ტყაბლაძის შეხვედრამ. ოთხსაათიანი თამაშის შემდეგ პარტია გადაიდო. უპირატესობა ტყაბლაძეს აქვს. IV ტურში საქართველოს ჩემპიონმა სძლია ბეროზაშვილს, მაგრამ მეორე დღეს თელაველმა გოგონამ მძაფრი ბრძოლა გაუმართა მას და პარტიაც თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა.

ს. პახლაჯიანი,
პირველობის მსაჯი, სპორტის ოსტატი.

# წინ გაიჭრა ნანა ალექსანდრია

ქალთა საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში 10 ტურის შემდეგ ლიდერობენ: ნ. ალექსანდრია — 7,5, ტ. ზატულოვსკაია (ბაქო), ა. ხვეგინა (მოსკოვის ოლქი) — 7-7, ე. პოლიქრონიადე (რუმინეთი), ც. კობაიძე — 6,5-6,5, ა. ჩაიკოვსკაია — 6, ა. ერეტოვა (ჩეხოსლოვაკია), ე. კაკაბაძე — 5,5-5,5.

გადადებული პარტიების დამთავრება. VII ტურის: ნიუნშერტი (გდრ) — პოლიქრონიადე (კვლავ გადაიდო); VIII ტურის: ალექსანდრია—ვერეცი (უნგრეთი) 0,5:0,5; IX ტურის: ვრეკენი (ჰოლანდია) — ერეტოვა (კვლავ გადაიდო).

ალექსანდრიამ კარგა ხანს იბრძოლა ზედმეტი პაიკის რეალიზებისთვის, მაგრამ საწადელს ვერ მიაღწია.

— მოგება რომ არ იყო, ანალიზმა გვიჩვენა, მაგრამ თამაში მაინც საჭიროდ მივიჩნიეთ: ვერეცის დაცვა უნდა შეგვემოწმებინა, — თქვა ალექსანდრიას მწვრთნელმა, საქართველოს ჩემპიონმა, ოსტატმა ბ. გურგენიძემ.

ნიუნშერტმა უზუსტოდ ითამაშა და ვერ გამოიყენა დიდი მატერიალური უპირატესობა (ლაზიერი ორ ფიგურაში). პოზიცია ძალზე გართულდა. სამაგიეროდ, ერეტოვამ კიდევ უფრო აშკარა გახადა თავისი გამვლელი პაიკების ძალა. ვრეკენმა ვერ შეძლო მათი შეჩერება. ჩეხოსლოვაკიელის გამარჯვება მხოლოდ დროის საქმეა.

X ტური. ნ. ხუბულური — კახაბრიშვილი 0,5:0,5, ნიუნშერტი — ერეტოვა 0,5:0,5, ალექსანდრია — რაძიკოვსკა (პოლონეთი) 1:0, ჩაიკოვსკაია — ხუგაშვილი 1:0, პოლიქრონიადე — ხვეგინა 0,5:0,5, სანაძე — ზატულოვსკაია 0:1, კობაიძე — ვერეცი, ვრეკენი — კაკაბაძე (ორივე პარტია გადაიდო).

რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში, სადაც ტურნირი მიმდინარეობს, იმატა გულშემატკივართა რაოდენობამ. ამბობენ, ეს ალექსანდრიას „ბრალიაო". თუ მართლაც ასეა, ტყუილად არ გარჯილან მისი ქომაგები: ნიჭიერი ქალიშვილი ფინიშზე ენერგიულად თამაშობს.

აი, პარტია, რომელმაც ალექსანდრიას ერთპიროვნული ლიდერობა მოუტანა.

ალექსანდრია — რაძიკოვსკა

სიცილიური დაცვა

**1. c4 c5 2. მf3 e6 3. d4 cd 4. მ:d4 მf6 5. მc3 მc6 6. g3** (თამაშის მწვავე სისტემა. შავები ფხიზლად უნდა იყვნენ) **6. ... d5** (უფრო სწორია 6. ... d6) **7. ed მ:d5 8. მce2** (ფიგურების გაცვლისთვის თავის არიდებით) **8. ... კd7 9. კg2 მf6 10. 0—0 კe7 11. c4 0—0 12. a3 ლc8 13. მf3 a5 14. b3 ეfd8 15. მc3 კe8 16. ლe2 მd7 17. კe3 კf6.**

რაძიკოვსკამ ვერ ააწყო აქტიური თამაში. მისი პოზიცია შეზღუდული, მაგრამ მტკიცეა. ახლა იგი მცდარ გზას დაადგება: დაცვისთვის საჭირო კუს ცვლის. სწორი გახლდათ 17. ... მc5 18. ეb1 b6 შეუპოვარი დაცვით.

**18. ეac1 კ:c3 19. ე:c3 მf6 20. კg5 მd4** (პაიკს აგებს. აუცილებელი იყო 20. ... ლc7) **21. მ:d4 ე:d4 22. ლe5 ეd8 23. კ:f6 gf 24. ლ:f6 კc6 25. კ:c6 ლ:c6 26. ეf3.**

რაძიკოვსკას პოზიცია უკვე უიმედოა. 27. ეf4-ით შამათის მუქარაა.

**26. ... e5 27. ლ:f7+ მფh8 28. ეf6 ეd6 29. ე:d6 ლ:d6 30. ლ:b7 ეb8 31. ლd5 ლ:d5 32. cd ე:b3 33. ეd1.** შავები დანებდნენ.

პოლიქრონიადემ და ხვეგინამ არ ისურვეს თავიანთი მოწინავე სატურნირო მდგომარეობის „სასწორზე დადება" და აუღელვებლად მიიყვანეს პარტია ყაიმის ნავსაყუდართან.

ჩაიკოვსკაიამ ძალიან ენერგიულად შეუტია ხუგაშვილის ცენტრს და გაარღვია იგი. გამოაშკარავდა ხუგაშვილის მეფის უმწეობა, რამაც შეხვედრის ბედიც გადაწყვიტა.

— შეწყვეტილი პოზიცია ზატულოვსკაიას მოგებული აქვს, — დაასკვნა ოსტატთა ჯგუფმა. დასანანი წაგებაა. 15 წლის სანაძეს შუა თამაშში უკეთესი შანსები ჰქონდა, მაგრამ გამოცდილება არ ეყო, თამაშის სწორი გეგმაც ვერ მონახა და ცაიტნოტში მეტოქეს მეფე დაალაშქვრინა.

ცაიტნოტში დაზარალდა კაკაბაძეც. მან პაიკი წააგო და ახლა პარტიაც წასაგები ჩანს. კობაიძეს ვერეცისთან თვალშესავლები უპირატესობა აქვს, მაგრამ მოგება ძნელი იქნება.

გადადებული პარტიების დამთავრება. VII ტურის: ნიუნშერტი — პოლიქრონიადე 0,5:0,5; IX ტურის: ვრეკენი — ერეტოვა 0:1, ზატულოვსკაია — ნიუნშერტი 1:0; X ტურის: კობაიძე — ვერეცი 1:0, ვრეკენი — კაკაბაძე 1:0.

თ. გიორგაძე.



ვ. ვერეცი

მეგობრული შარჟი რ. ჯაშინა.

## მხოლოდ ტექნიკური შედეგები...

როგორც ცნობილია, ლუგანსკში დამთავრდა ძალოსანთა საკავშირო ჩემპიონატი. მოგვყავს პრიზიორები სამჭიდში და ჩემპიონები ცალკეულ მოძრაობებში.

**მჩატე წონა:** 1. გ. ჩეტინი (პერმი, საბჭოთა არმია) — 347,5 კგ, 2. ა. ვახონინი (შახტი, „ტრუდი") — 345, 3. ვ. კრიშჩიშინი (ლვოვი, საბჭოთა არმია) — 332,5. აჭიმვა: კრიშჩიშინი — 110, ატაცი: ჩეტინი — 107,5, აკვრა: ვახონინი — 135.

**ქვემსუბუქი:** 1. ე. ქარიმოვი (ტაშკენტი, „ბურევესტნიკი") — 375, 2. დ. შანიძე (თბილისი, „განთიადი") — 370, 3. ნ. ვაროვი (ლუგანსკი, „ავანგარდი") — 362,5. აჭიმვა: ვ. უხანოვი (კრივოი როგი, „ბურევესტნიკი") — 115, ატაცი: შანიძე — 110, აკვრა: ქარიმოვი — 150.

**მსუბუქი:** 1. ნ. ნოგაიცევი (მოსკოვი, „დინამო") — 417,5, 2. ვ. გირკო (სალავათი, „უროჟაი") — 410, 3. პ. კოროლი (ლვოვი, „დინამო") — 402,5. აჭიმვა: გირკო — 132,5, ატაცი: ნოგაიცევი — 127,5, აკვრა: გირკო — 160.

**ქვესაშუალო:** 1. ვ. კურენცოვი (მოსკოვი, საბჭოთა არმია) — 462,5, 2. ე. სმირნოვი (ლენინგრადი, „ზენიტი") — 455, 3. ვ. პოსპელოვი (ივანოვო, „ტრუდი") — 435. აჭიმვა: კურენცოვი — 152,5, ატაცი: ი. კალაშნიკოვი (მოსკოვი, „დინამო") — 137,5, აკვრა: კურენცოვი — 180.

**საშუალო:** 1. გ. კოჩიევი (დონეცკი, „სპარტაკი") — 470, 2. ბ. სელიცკი (ლენინგრადი, „ლოკომოტივი") — 470, 3. ვ. ბელიაევი (კიევი, საბჭოთა არმია) — 460. აჭიმვა: ნ. ხოროშაევი (როსტოვი, საბჭოთა არმია) — 160, ატაცი: ვ. კოლოტოვი (პერვოურალსკი, „ტრუდი") — 140, აკვრა: კოჩიევი — 180.

**ქვემძიმე:** 1. ი. ტალტსი (ტალინი, „იიუდი") — 500, 2. ა. კიდიაევი (ლუგანსკი, „ავანგარდი") — 492,5, 3. ა. კალინიჩენკო (ვოლგოგრადი, „დინამო") — 487,5. აჭიმვა: ა. პრიცი (ვილნიუსი, „დინამო") — 165, ატაცი: კალინიჩენკო — 147,5, აკვრა: ტალტსი — 190.

**მძიმე:** 1. ი. იაბლონოვსკი (ლუგანსკი, „ავანგარდი") — 495, 2. მ. კრაშენინიკოვი (პენზა, „დინამო") — 487,5, 3. ა. ლობაჩევი (მოგილიოვი, „სპარტაკი") — 482,5. აჭიმვასა და ატაცში ყველას აჯობა ნ. იაშჩენკომ (ოდესა, საბჭოთა არმია), მაგრამ შემდეგ აკვრაში ნოლი მიიღო და ღებულებით ოქროს მედლები აჭიმვასა და ატაცში არავის მიეკუთვნა. აკვრა: იაბლონოვსკი — 192,5.

**ზემძიმე:** 1. ლ. ჟაბოტინსკი (კიევი, „დინამო") — 585, 2. ს. ბატიშჩევი (დონეცკი, „ბურევესტნიკი") — 555, 3. ვ. ალექსეევი (შახტი, „ტრუდი") — 540. აჭიმვაში, ატაცსა და აკვრაში გაიმარჯვა ჟაბოტინსკიმ — 195, 170 და 220.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტი ილუსტრაციებში ■ სპორტი ილუსტრაციებში



ლუგანსკი. ძალოსანთა საკავშირო ჩემპიონატში მძიმე წონაში ოქროს მედალი მოიპოვა ლუგანსკის ორთქლმავალმშენებელი ქარხნის ზეინკალმა ი. იაბლონოვსკიმ (495 კგ სამჭიდის ჯამში). ჩემპიონმა ახალი საკავშირო რეკორდი დაამყარა აკვრაში — 192,5 კგ.

ფოტო ვ. შანდრინისა (საკდესი).



მრავალი ათასი კილომეტრი მოიტოვეს უკან მამაცმა ჩეხოსლოვაკიელმა ქალიშვილებმა, რომლებიც შარშან ოქტომბერში ფეხით დაადგნენ გზას პრაღიდან მეხიკომდე — XIX ოლიმპიური თამაშების ქალაქამდე. მარშრუტი გადიოდა ვენაზე, მიუნხენზე, ბერნზე, გრენობლზე (სადაც მათ ნახეს ზამთრის ოლიმპიური თამაშები), ლონდონზე.

ინგლისის დედაქალაქიდან მოგზაურები გემით გადავიდნენ კანადაში და კვლავ ფეხით გაემართნენ ამერიკის შეერთებული შტატებისკენ, რათა იქიდან განახორციელონ ბოლო გადახვლა — მექსიკაში.

ს უ რ ა თ ზ ე: ჩეხოსლოვაკიელი მოგზაურები ვაშინგტონში.

ფოტო „ჯაპან ტაიმს"-ასს-ისა.



მსოფლიოში ყველაზე ნორჩი მოცურავე — მიუნხენელი გოგონა კლავდია. მას სულ ახლახან შეუსრულდა 3 წელი, მაგრამ ცურვაში ვარჯიშის ორწლიანი სტაჟი აქვს.

როგორც დასავლეთგერმანული ჟურნალი „კვიკი" გვიამბობს, კლავდიას მშობლები თავგამოდებული მოცურავეები არიან. მათ გოგონა მაშინ ჩაიყვანეს აუზში, როცა სიარულიც არ შეეძლო. პირველ დღეებში ბავშვს დედა ეხმარებოდა, მაგრამ მალე მისი დახმარება საჭირო აღარ იყო. კლავდია ცურავდა და ყვინთავდა კიდეც.

ახლა კლავდია გამოცდილი ხელმძღვანელის მეთვალყურეობით ერთმეტრიანი ფიცარნაგიდან წყალში თავით ხტება და შემდეგ ნახევარ საათს ცურავს.

ჟურნალი მშობლებს მოუწოდებს მიბაძონ კლავდიას დედმამის მაგალითს. იგი მკითხველებს აგონებს, რომ გფრ-ში უბედური შემთხვევების მსხვერპლი ბავშვების (წლიდან ოთხ წლამდე ასაკისა) 25 პროცენტი წყალში იღუპება.

ფოტო „კვიკ"-ასს-ისა.



ლენინგრადი. რუსეთის ფედერაციის, ყაზახეთის, ლატვიის, ესტონეთის, მოსკოვისა და ლენინგრადის უძლიერესი გუნდების ტრადიციული შეჯიბრება თანამედროვე ხუთჭიდში.

ს უ რ ა თ ზ ე: ლენინგრადელი ო. კურილო დაბრკოლებათა ზოლის გადალახვისას.

ფოტო ნ. ნაუმენკოვისა (საკდესი).

მოსკოვი. კლიაზმის წყალსაცავის სარბიელზე ამას წინათ დედაქალაქის აფროსანთა კლუბების წარმომადგენლები გამოვიდნენ. სამასზე მეტი ნავი მონაწილეობდა წლევანდელი საიალქნო სეზონის გახსნაში.

ს უ რ ა თ ზ ე: „დრაკონის" კლასის იახტები.

ფოტო ს. პრეობრაჟენსკისა (საკდესი).



**საკავშირო რეკორდით**

**ფეხით — ოლიმპიურ თამაშებზე**

**ფინალობა გადალახულია**

**როდის დავიწყოთ ცურვის სწავლება?**

**ფრიალებენ თეთრი აფრები**

fotbal • calcio • KOPANA • ФУТБОЛ • ფეხბურთი • LABdARUGAS • NOGOMET

# ინგლისელთა რევანში და სხვა ამბები

ლონდონი, 23 მაისი. 72 ათასმა მაყურებელმა მოიყარა თავი „უემბლის“ სტადიონზე ინგლისისა და შვეციის ამხანაგური მატჩის საცქერლად. ანგარიში 37-ე წუთზე გახსნა მსოფლიო ჩემპიონთა გუნდის წევრმა პიტერსმა. 2 წუთის შემდეგ თავი გამოიჩინა ბ. ჩარლტონმა, რომელიც ინგლისის ნაკრების ბომბარდირთა რეკორდსმენი გახდა — ახლა მის ანგარიშზეა 45 გოლი! შესვენების შემდეგ მეტოქეებმა თითო გოლი გაიტანეს (პანტი და ანდერსონი) და ინგლისელებმა გაიმარჯვეს — 3:1. ამრიგად, მათ ამავე „უემბლის“ სტადიონზე შვეციელებთან 10 წლის წინანდელი მარცხის (2:3) რევანში აიღეს.

ბელგრადი, 23 მაისი. ევროპის ქვეყნების თასების მფლობელთა თასის შემდეგ გათამაშებაში იუგოსლავიიდან ადგილობრივი „ცრვენა ზვეზდა“ გამოვა, რომელმაც ქვეყნის თასის გათამაშების ფინალურ მატჩში იშვიათი ანგარიშით (7:1) დაამარცხა მეორე ლიგის გუნდი „ბორი“.

ბუდაპეშტი, 23 მაისი. ბაზრობათა თასის გათამაშების პირველ ნახევარფინალურ მატჩში ადგილობრივმა „ფერენცვაროშმა“ დაამარცხა იტალიური კლუბი „ბოლონია“ — 3:2 (1:2). აღსანიშნავია, რომ „ფერენცვაროშმა“ უალბერტოდ ითამაშა. სამაგიეროდ, გუნდში ქვეყნის ნაკრების დანარჩენი ყველა წევრი (ნოვაკი, იხასი, ვარგა, სიუჩი) მონაწილეობდა. „ბოლონიაშიც“ იტალიის ნაკრების წევრები გუარნერი და ბულგარელი თამაშობდნენ, რომლებიც სსრ კავშირის გუნდთან ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალურ მატჩში მონაწილეობის კანდიდატები არიან. „ფერენცვაროშისა“ და „ბოლონიას“ საპასუხო შეხვედრა ბაზრობათა თასზე 27 მაისს გაიმართება ბოლონიაში. მათ შორის გამარჯვებული ფინალში ინგლისის „ლიდს იუნაიტედს“ ეთამაშება.

მილანი, 23 მაისი. შვეიცარიის ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა, 57 წლის ალფრედო ფონიმ კვლავ ითავა მილანის „ინტერნაციონალეს“ ხელმძღვანელობა. ომამდელ წლებში ფონი თამაშობდა იტალიურ კლუბებში „უდინეზეში“, „პადუასა“ და „იუვენტუსში“, შედიოდა იტალიის ნაკრებში, რომელმაც 1938 წელს მსოფლიო ჩემპიონის წოდება დაისაკუთრა. 1952 წლიდან 1954 წლამდე იგი „ინტერნაციონალეს“ ავარჯიშებდა და ამ გუნდმა სწორედ მისი ხელმძღვანელობის დროს იტალიის ჩემპიონობა დაისაკუთრა. თავისი ახალი მწვრთნელი „ინტერმა“ პირველივე მატჩში გაახარა — შინ დაამარცხა ბელგიის „ანდერლეხტი“ — 2:1.

* * *

დამთავრდა ბელგიის ჩემპიონატი. I ადგილი ზედიზედ მეხუთედ მოიგო „ანდერლეხტმა“, რომელმაც 46 ქულა დააგროვა 60 შესაძლებლიდან. ჩემპიონს 1 ქულით ჩამორჩა „ბრიუგე“. 40 ქულით III ადგილზეა „სტანდარდი“.

II ლიგაში გადავიდნენ „ანტვერპენი“ და „ოლიმპიკ შარლერუა“. მათი ადგილები დაიკავეს „სენტ-ჟილუაზმა“ და „განტუაზმა“.

ჰოლანდიის ჩემპიონატის დასასრულს აკლია მხოლოდ 1 ტური. ახლა „აიაქსს“ აქვს 58 ქულა, ხოლო „ფეიენოორდს“ — 55.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ჩემპიონი ცნობილი გახდა გათამაშების დამთავრებამდე 1 ტურით ადრე. I ადგილი დაიკავა „ნიურნბერგმა“, რომელიც თითქმის მთელი გათამაშების მანძილზე ლიდერობდა.

ლუქსემბურგის თასის მფლობელი გახდა „რიუმელინგენი“, რომელმაც ფინალში დაამარცხა „არისი“.

მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი შეხვედრა შედგა ვენაში ავსტრიისა და კვიპროსის ნაკრებ გუნდებს შორის. მატჩი დამთავრდა ავსტრიელთა იოლი გამარჯვებით — 7:1. აღსანიშნავია, რომ 5 ბურთი გაიტანა ავსტრიელთა საუკეთესო ფორვარდმა ჰოფმა.

რაპანის თასზე ლისაბონში ერთმანეთს შეხვდნენ პრაღის „დუკლა“ და ადგილობრივი „სპორტინგი“. თამაში დამთავრდა ფრედ — 1:1.

# ევროპის ჩემპიონატის ფინალში

სსრ კავშირის ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი ზედიზედ მესამედ გავიდა ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალში. მისი მოწინააღმდეგეა იტალიის ნაკრები, ხოლო მეორე ნახევარფინალურ წყვილს შეადგენენ ინგლისისა და იუგოსლავიის ეროვნული გუნდები.

გადაწყდა ყველა მატჩის დაწყების დროც. იტალია — სსრ კავშირის გუნდების შეხვედრა ნეაპოლში იწყება 18 საათზე. ბილეთების ფასია 1.000 ლირიდან 5.000 ლირამდე. ინგლისისა და იუგოსლავიის გუნდები ერთმანეთს ხვდებიან ფლორენციაში 21 საათსა და 15 წუთზე. აქ ბილეთების ფასია 800 ლირიდან 5.000 ლირამდე.

8 ივნისს 19 საათზე რომის ოლიმპიურ სტადიონზე ერთმანეთს ხვდებიან ნახევარფინალებში დამარცხებულნი, 21 საათზე კი გაიმართება მატჩი I ადგილისთვის. ბილეთების ფასია 1.000 ლირიდან 8.000 ლირამდე.

თუ ნახევარფინალებში ან III ადგილისთვის მატჩში ძირითადი დრო დამთავრდა ფრედ, დაინიშნება დამატებითი 2 ტაიმი, თვითეული 15 წუთის ხანგრძლიობით. თუ ამ დამატებითმა დრომაც ვერ გამოავლინა გამარჯვებული, მსაჯი მოახდენს კენჭისყრას ორივე ქვეყნის საფეხბურთო ფედერაციათა წარმომადგენლებისა და ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის დელეგატის თანდასწრებით.

თუ ფინალური მატჩი დამთავრდა ფრედ, დაინიშნება დამატებითი დრო (ასევე 2 ტაიმი, თვითეული 15 წუთის ხანგრძლიობით). თუ გამარჯვებული ვერც დამატებითმა დრომ გამოავლინა, მოხდება გადათამაშება. თუ ამ დამატებით საფინალო მატჩშიც არ გამოვლინდა გამარჯვებული (ასევე დამატებითი დროის ჩათვლით), გამარჯვებულს გამოავლენს კენჭისყრა.

ევროპის საფეხბურთო ასოციაციათა კომისიამ ინგლისის, იუგოსლავიის, სსრ კავშირისა და იტალიის ფეხბურთის ფედერაციებს აცნობა, რომ თუ ევროპის ჩემპიონატში I ადგილის გამოსარკვევად დამატებითი მატჩის ჩატარება გახდა საჭირო, იგი გაიმართება 10 ივნისს რომში 21 საათზე (24 საათზე თბილისის დროით).

სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაციამ უეფა-ს გაუგზავნა საბჭოთა ფეხბურთელების განაცხადი, რომელშიც 22 სპორტსმენი შევიდა: ა. კავაზაშვილი, ი. პშენიჩნიკოვი, ე. რუდაკოვი, ვ. ანიჩკინი, ვ. აფონინი, ი. ისტომინი, ვ. კაპლიჩნი, ვ. ლევჩენკო, გ. ლოგოფეტი, მ. ხურცილავა, ა. შესტერნიოვი, ვ. ვორონინი, ა. ლენიოვი, ე. მალოფეევი, ვ. მუნტიანი, კ. ასათიანი, ა. ბანიშევსკი, ა. ბიშოვეცი, გ. ევრიუჟიხინი, გ. ნოდია, ნ. სმოლნიკოვი, ი. ჩისლენკო.

იტალიელთა შემადგენლობა ასეთია (ანბანით): ე. ალბერტოზი, პ. ანასტაზი, ა. ანკვილეტი, ჯ. ბერჩელინო, ჯ. ბულგარელი, ტ. ბურგნიჩი, ა. გუარნერი, ჯ. დე სისტი, ა. დომენგინი, ლ. ვიერი, ა. იულიანო, ე. კასტანო, ჯ. ლოდეტი, ს. მაცოლა, პ. პრატი, ლ. რივა, ჯ. რივერა, რ. როზატო, ს. სალვადორე, ჯ. ფაკეტი, ჯ. ფერინი, დ. ძოფი.

# ცენტრში მაცოლა?

რომი, 23 მაისი. 12 ფეხბურთელი, რომელთაც იტალიის ეროვნული გუნდის მწვრთნელმა ვალკარეჯიმ კოვერჩანოში ორდღიან შეკრებაზე მოუყარა თავი სსრ კავშირის ნაკრებთან ევროპის პირველობაზე ნახევარფინალური მატჩის წინ, კვლავ თავიანთ კლუბებს დაუბრუნდნენ. როგორც გაზეთი „ლუნა“ წერს, იტალიის ნაკრების ექიმი ფინი უკმაყოფილოა მოთამაშეთა ფიზიკური მდგომარეობით. „ჩვენ ძალიან გვეშინია და ეს შიში საფუძველს მოკლებული არ გახლავთ, რომ ნეაპოლში საბჭოთა გუნდის წინააღმდეგ დაქანცულ გუნდს გამოვიყვანთ, — წერს გაზეთი. — არავის წინაშე თავის მართლებას არ ვაპირებთ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება: ევროპის ჩემპიონატის ნახევარფინალური მატჩისთვის ნაკრების მომზადება ძნელ პირობებში გვიხდება. ქვეყნის ნაკრების მკვებავი მოწინავე კლუბები იძულებული არიან გამართონ ბევრი მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეხვედრა და უძლიერესებს ვერ ათავისუფლებენ“.

ვალკარეჯიმ კი, რომელმაც დღეს უეფა-ს საბჭოთა გუნდთან სასპარეზოდ განკუთვნილი 22 ფეხბურთელის სია გაუგზავნა, გაზეთ „სტადიოს“ კორესპონდენტს განუცხადა, რომ „ორდღიანი შეკრების შედეგით კმაყოფილია“ და რომ „ბიჭები თავს კარგად გრძნობენ“. თუმცა, რა თქმა უნდა, ეროვნულ ჩემპიონატში გამოსვლების შემდეგ ჯერ კიდევ სათანადოდ ვერ დაისვენეს. მე ძალიან მაწუხებდა ბედი კასტანოსა და ფერინისა, რომლებიც ამასწინანდელ მატჩებში დაშავდნენ. მაგრამ ახლა ისინი კარგ ფორმაში არიან. ასევე კარგია მოთამაშეთა მორალური მდგომარეობა. კორესპონდენტის შეკითხვაზე, თუ კიდევ როდის შეიკრიბება გუნდი, ვალკარეჯიმ უპასუხა: „28 მაისს, თუმცა არა მგონია, რომ ყველა მოთამაშე ერთდროულად ჩამოვიდეს“.

„გაზეტა დელო სპორტი“ წერს, რომ 5 ივნისს იტალიის ნაკრების ცენტრალურ თავდამსხმელად „უეჭველად მაცოლა იქნება“. ამ გაზეთის კორესპონდენტი ნ. ჯორჯეტი, რომელიც ვალკარეჯის ესაუბრა, წერს, რომ კოვერჩანოში საწვრთნელი მეცადინეობის შემდეგ მწვრთნელმა საბოლოოდ გადაწყვიტა ცენტრალურ თავდამსხმელად მაცოლა დააყენოს.

სხვა გაზეთები კი დაბეჯითებით უწინასწარმეტყველებენ ამ ადგილს იტალიური ფეხბურთის ახალ ვარსკვლავს, 20 წლის პიეტრო ანასტაზის. სხვათა შორის, ეს ფეხბურთელი ახლახან შეიძინა მილანის „ინტერნაციონალემ“. მაგრამ ანასტაზიმ ამ კლუბში სულ რამდენიმე დღე დაჰყო: იგი ტურინის „იუვენტუსმა“ შეისყიდა.

ასეა თუ ისე, იტალია მოუთმენლად ელის 5 ივნისის მატჩს.

[illegible]

# [illegible]

## 34 წლის დიასახლისს მსაჯობა სურს

ინგლისის ფეხბურთის ფედერაცია აღაშფოთა 34 წლის დიასახლისმა პ. დანმა. თავდაპირველად ფიქრობდნენ, რომ დიასახლისი მხოლოდ თავის შესაქცევად ეუფლებოდა ფეხბურთის მსაჯის ხელოვნებას. მან ჩააბარა ყველა გამოცდა და მსაჯობის პრაქტიკაც გაიარა. ყველას ეგონა, რომ ამით დამთავრდებოდა დანის აზირებული გატაცება, მაგრამ დიასახლისმა მსაჯის მოწმობაც და ლიცენზიაც მოითხოვა.

ფეხბურთის ფედერაციამ დანს მსაჯობაზე უარი უთხრა. თავის მხრივ აღშფოთდა მსაჯობის მოწადინე დიასახლისიც და იმუქრება სქესთა თანაბარუფლებიანობის საუკუნეში ქალის ასეთ აბუჩად აგდებას არავის ვაპატიებო. მას განზრახული აქვს ფედერაციის უარი უმაღლეს ინსტანციებში გააპროტესტოს. ერთი სიტყვით, დანი პრაქტიკულ მსაჯობას თხოულობს.

# ვალკარეჯის ახალი კონტრაქტი

ფ. ვალკარეჯი, რომელიც ადრე უმნიშვნელო კლუბების მწვრთნელი იყო, ბოლო დრომდე არ სარგებლობდა რაიმე პოპულარობით იტალიის საფეხბურთო წრეებში. ეროვნული ნაკრების მწვრთნელიც მას შემდეგ გახდა, რაც ჯერ ე. ფაბრიმ და შემდეგ ე. ჰერერამ ფიასკო განიცადეს, ამასთან, ვალკარეჯის პირველ კონტრაქტს ეროვნულ ფედერაციასთან მეტად ხანმოკლე ვადა ჰქონდა. ეს ხელშეკრულება სულ მალე, 30 ივნისს თავდება.

ახლა კი იტალიელებს მიაჩნიათ, რომ ვალკარეჯი, რომელმაც გუნდი ევროპის ჩემპიონატის დასკვნით შეჯიბრებაში გაიყვანა, საჭირო ადამიანია. მას ხელშეკრულება გაუგრძელეს 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატის დასასრულამდე, რაც სრული ნდობის გამოცხადებას ნიშნავს.

# მეგობრობისა და ძმობის გზით

როვნო, 22 მაისი. მოსკოვის კრემლიდან ძველ პრაღამდე მიმავალი მეგობრობისა და მშვიდობის ესტაფეტის მონაწილეებმა დღეს როვნოს ოლქის მიწაზე შედგეს ფეხი. მათ შორის, ვინც დღეს ოლქის ქალაქებისა და სოფლების ქუჩებში გამოვიდა მეგობრობის ამ ლაშქრობის მონაწილეთა შესახვედრად, ბევრია პრაღის განთავისუფლებისთვის ბრძოლის მონაწილე, ჩეხოსლოვაკიის უმაღლესი ჯილდოების კავალერი და ოლქის ქალაქების საპატიო მოქალაქე.

როვნოს ცენტრალურ მოედანზე აღმართულ ლენინის ძეგლთან გაიმართა მიტინგი, რომლის მონაწილეებიც ლაპარაკობდნენ საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის ხალხთა მეგობრობაზე.

ხვალ როვნოელი სპორტსმენები ესტაფეტას ლვოვისკენ წაიღებენ.

# ასეთ დაებედოთ!

პარიზი, 23 მაისი. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის პრიზზე ქალთა აქ დაწყებულ გუნდურ ტურნირში საბჭოთა ჩოგბურთელების დებიუტი წარმატებული გამოდგა — მათ ანგარიშით 3:0 დაამარცხეს ბელგიის ნაკრები. ეს მით უფრო სასიხარულოა, რომ ტურნირი მსოფლიოს არაოფიციალურ გუნდურ ჩემპიონატად ითვლება.

„როლან გაროსის“ ცნობილ კორტებზე ასპარეზობაში ჩაებნენ 23 ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებმაც ჩოგბურთის ყველა წესის საწინააღმდეგოდ შეჯიბრება დაიწყეს... წვიმაში. საფრანგეთში საყოველთაო გაფიცვით გამოწვეული სატრანსპორტო სიძნელეების გამო ტურნირი ერთი დღის დაგვიანებით დაიწყო და ამიტომ შეჯიბრების ორგანიზატორები იძულებული არიან იჩქარონ, რათა ტურნირი საფრანგეთის ღია ჩემპიონატის გახსნისთვის დაამთავრონ.

საბჭოთა სპორტსმენებმა პირველი ნაბიჯი იოლად გადადგეს — მეტოქე მათ საგრძნობლად ჩამოუვარდებოდა კლასში. მოსკოველმა გ. ბაკშეევამ დაამარცხა ი. ლუა — 2:6, 7:5, 6:3, მოსკოველმა ა. დმიტრიევამ კი კ. მერსელი — 6:3, 6:3. შემდეგ ზემოდასახელებული საბჭოთა ჩოგბურთელების წყვილმა სძლია ლუა— მარსელის დუეტს — 6:3, 6:3.

ახლა ტურნირის მერვედფინალში სსრ კავშირის გუნდი შეხვდება იტალიელებს.

სხვა მატჩებში ითამაშებენ: ავსტრალია — ბრაზილია, კანადა — სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ჩეხოსლოვაკია— ინგლისი, ჰოლანდია — პოლონეთი, საფრანგეთი — პორტუგალია, აშშ — შვეიცარია. ბულგარეთის ნაკრები პირდაპირ მეოთხედფინალში გავიდა, რადგან გფრ-ის ჩოგბურთელმა ქალებმა უარი თქვეს შეჯიბრებაში მონაწილეობაზე.



## პარტია გადაიდო

პორეჩი, 23 მაისი. ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე ბ. ლარსენისა (დანია) და ლ. პორტიშის (უნგრეთი) მეოთხედფინალური მატჩის IX პარტია 41-ე სვლაზე გადაიდო. გაგახსენებთ: ჯერჯერობით ანგარიშია 4:4.

# ჭადრაკის მერიდიანებზე

## დოდას გამარჯვება

ბოგნორ-რეჯისში (ინგლისი) დამთავრდა ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ევროპის მოწინავე ოსტატები მონაწილეობდნენ. შეჯიბრება შვეიცარიული სისტემით (8 ტური) ჩატარდა. I ადგილი დაიკავა საერთაშორისო ოსტატმა ზ. დოდამ (პოლონეთი) — 6,5 ქულა.

## ვიდმარის მემორიალი

იუგოსლავიის ჭადრაკის ფედერაცია ლიუბლიანაში 17 ნოემბრიდან 7 დეკემბრამდე ატარებს გამოჩენილი იუგოსლაველი დიდოსტატის მ. ვიდმარის მემორიალს.

ტურნირში მიწვეული არიან უცხოელი მოჭადრაკეებიც, მათ შორის, მსოფლიოს ექს-ჩემპიონები მ. ბოტვინიკი და ვ. სმისლოვი. მასპინძლებიდან თამაშს აპირებენ დიდოსტატები ს. გლიგორიჩი, ბ. ივკოვი, ა. მატანოვიჩი, მ. მატულოვიჩი, ბ. პარმა და დ. ჩირიჩი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

## თბილისის სპორტულ ბაზებზე

ფეხბურთი. „ლოკომოტივის“ სტადიონი. სსრ კავშირის პირველობა. „ა“ კლასის II ჯგუფის III ქვეჯგუფი. „ლოკომოტივი“ (თბილისი) — „მეშახტე“ (ტყიბული). დღეს — დუბლშემადგენლობანი, ხვალ — ძირითადი შემადგენლობანი. დასაწყისი 18 ს. 15 წ.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. 1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 უე 04078